განკარგულება:**გ-37. 37231583**
თარიღი:**07/06/2023**

განკარგულება N40

7 ივნისი 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

ქალაქ ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ პარკში (ს/კ 26.26.47.162), ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილის ბიუსტის განთავსების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 ნოემბრის №18 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ პარკში (ს/კ 26.26.47.162), განთავსდეს ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილის ბიუსტი, შეთანხმებული ბიუსტის პროექტის შესაბამისად.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.

3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი